საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ–არქიტექტურული კვლევა. "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია". თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა,29.



თბილისი – 2014

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კონსტანტინე (კიტე) მარჯანიშვილის ქუჩის შუა მონაკვეთში (მარჯანიშვილის ქუჩა, #29), თბილისის ერთ–ერთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბანში – კუკიაზე (სურ. 1).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კუკია ძველი თბილისის გარეუბნის ერთ–ერთი მიკროუბანი იყო. სახელი მიიღო XIX საუკუნეში ამავე სახელწოდების სოფლის – კუკიის მიხედვით, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეებში ქალაქისპირა სოფელი იყო. იგი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ეკავა მდინარის აღმა, ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ვიწრო ზოლი. მისი საზღვრები იყო: სამხრეთ–აღმოსავლეთიდან – სოფელი ჩუღურეთი (მათი საზღვარი გადიოდა დიდხევზე), ჩრდილო-აღმოსავლეთით – ხელოვნური თხრილი (დაახლოებით ემთხვევა ახლანდელი მ.წინამძღვრიშვილის ქუჩის ხაზს), დასავლეთით – მტკვარი. სოფელ კუკიის ადრინდელი (XVII-XVIII სს.) სახელია – ახალსოფელი, რითაც პირველად ვგვხდება ვახუშტისეულ თბილისის 1735 წლის გეგმაზე # 64–ით. მასზე დატანილი დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით, იქ დასახლება მეჩხერი ჩანს. სოფელი ამ ადგილზე კუკიის სახელით პირველად გვხვდება გერმანელი მეცნიერის და მოგზაურის ი.ა.გიულდენშტედტის 1772 წლის რუკაზე. სოფელი კუკიის ადგილას დასმული გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს გაპარტახებულ ციხესიმაგრეს. ამ დროს კუკია გაპარტახებული ყოფილა და მისი დასახლება უფრო მოგვიანებით მომხდარა (ადგილის სახელი „ახალსოფელი“ ახალ დასახლებაზე მიგვანიშნებს, რაც შეეხება „კუკიას“, დღევანდელი ქართული სალაპარაკო ლექსიკა მისი ახსნის საშვალებას არ იძლევა). XVIII საუკუნის 70–80–იან წლებში კუკია სადედოფლო სოფელი – მამულია.

1824 წელს კუკია ჩუღურეთთან ერთად მიაკუთვნეს თბილისს. XIX საუკუნის 40–50–იან წლებში ჩუღურეთიდან და ავლაბრიდან იწყება მასობრივი გადასვლა კუკიაში დასასახლებლად, რის გამოც მისი ტერიტორია იმდენად გაზრდილა, რომ უკვე 1850 წელს ავჭალის დიდი გზის (ახლანდელი არნოლდ ჩიქობავას ქუჩა) გადაღმა, აღმოსავლეთით და ჩრდილო–აღმოსავლებით გაჩნდა „ახალი კუკიის“ დასახლება.

თვით კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილის ქუჩა, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონი (ძველი კუკია); უშანგი ჩხეიძის ქუჩიდან რკინიგზამდე. ადრე ერქვა კირკის ქუჩა, 1921 წლიდან – ჟან ჟორესის, ხოლო 1938 წლიდან კ.ა.მარჯანიშვილის სახელი ეწოდა (აქვს ერთი შესახვევი). ქუჩა გეგმით გრძივად განლაგებული ქალაქის მთავარი განივი

ღერძის ერთ–ერთი მონაკვეთია. ეს სატრანსპორტო ფუნქციური ღერძი იწყება ვარდების რევოლუციის მოედნიდან, გადის გალაკტიონის ხიდზე, მარჯანიშვლის მოედანზე და მიემართება ზევით.

ახლანდელი მარჯანიშვილის ქუჩა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრე შედიოდა კუკიის დასახლებაში. 1819 წელს კუკიის ტერიტორიაზე, მათ შორის მარჯანიშვილის ქუჩასა და მის მიმდებარედ, დასახლდნენ ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული გერმანელი მოახალშენეები, რომლებმაც გააშენეს ბაღ–ბოსტნები და აქავრობა კეთილმოაწყეს. ბაღების ნაწილი დღემდეა შემორჩენილი (ე.წ. არტოს ბაღი, ვარდების ბაღი, რამდენიმე სკვერი და გამწვანებული ეზოები). ქუჩაზე ძირითადად განლაგებული იყო ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის სავაჭრო რიგები, პატარა ფანჩატურ–დუქნები, ვინაიდან გერმანელების კოლონია ქალაქს ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციით ამარაგებდა.

1819 წელს ახლანდელი მარჯანიშვილის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტის კუთხეში გერმანელმა კოლონისტებმა ლუთერანული ეკლესია ააშენეს (გერმ. „კირხე"). ეს თავდაპირველი ხის ეკლესია მალე დამწვარა და 1820–იან წლებში იგი ქვის, შედარებით მცირე ზომის შენობით შეცვალეს, რამაც ამ ქუჩას კირკის სახელი დაუმკვიდრა. თბილისის 1876 წლის გეგმაზე იგი დატანილია როგორც „კიროჩნაია". 1897 წელს კი ამ ადგილზე აშენდა გაცილების უფრო დიდი ზომის ახალი ლუთერანული ეკლესია (არქიტექტორი ო.ი. სიმონსონი. მშენებელი არქიტექტორი ლ.ბილფელდი).

1850-იანი წლების დასაწყისიდან გერმანელების დასახლება, რომელსაც "გერმანელების კოლონიას" უწოდებდნენ, უკვე ექვემდებარებოდა ქალაქის განაშენიანების წესებს, 1862 წელს კი იგი შემოიტანეს ქალაქის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ კუკიის ჩრდილო–დასავლეთით მდებარე გერმანელების კოლონია მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა (სურ. 2, თბილისის 1867 წლის გეგმა). გერმანელების კოლონიას ეკავა ტერიტორია კუკიისა და ე.წ. მუშტაიდის ბაღს შორის, ხოლო მაშინ მიხეილის (ამჟამად დავით აღმაშენებლის პროსპექტი) ქუჩა წარმოადგენდა კოლონიის მთავარ ქუჩას.

კირკის (მარჯანიშვილის) ქუჩის არქიტექტურულმა სახემ ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნის 70–80-იან წლებიდან. XIX საუკუნის ბოლოს უკვე ჩამოყალიბებულია ამ უბნის მთელი ქუჩათა ქსელი მათი პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩე-

ბით, რომელიც დღემდეა შენარჩუნებული. XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მიხეილის (დავით აღმაშენებლის) პროსპექტი - ქალაქის მარცხენა ნაპირის მთავარი მაგისტრალი და დაკავშირებული მასთან კირკის (მარჯანიშვილის) ქუჩა, თავისი მნიშვნელობით ანუ თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი კატეგორიით უკვე უახლოვდება ქალაქის ცენტრს.

ქალაქის ეს ნაწილი გამოირჩევა ქალაქის სხვა ნაწილებისაგან თავისი დაგეგმარების ხასიათით: ეს ძველი ქალაქის ყველაზე რეგულარული ნაწილია. აქ ყველაზე მოზრდილი, ქალაქის სხვა უბნებთან შედარებით კვარტალებია, რომლებიც მოქცეულია ურთიერთპარალელურსა და პერპენდიკულარულ ქუჩებს შორის, სადაც მწვანე ნარგავებს დიდი ადგილი უჭირავს, რომლებიც თითქოს ერთი მთლიანი ზოლით მიჰყვება მიხეილის (დავით აღმაშენებლის) პროსპექტს მთელ მის გაყოლებაზე (სურ. 3, თბილისის 1913 წლის გეგმა). ქალაქის ამ ნაწილის დაგეგმარებაში განმეორებულია გერმანელთა კოლონიის დაგეგმარება, რომლის წესიერ ხასიათს ხელი შეუწყო რელიეფმაც. აქ სრულიად ვაკე ადგილია. გერმანელთა კოლონიამ სხვაგვარადაც დაამჩნია კვალი ამ უბნებს: ცალკეული მესაკუთრეთა მიწის ნაკვეთები სწორკუთხა ფორმის იყო. ამ უბნის დაგეგმარების ხასიათი მომდევნო 1920–30–იან წლებშიც არ შეცვლილა. ახლაც ისევ როგორც მაშინ, ეზოებში ან უფრო სწორედ კვარტალების შიგნით დიდი ადგილი უკავიათ მწვანე ნარგავებს (სურ. 4, თბილისის 1929 წლის გეგმა).

თვით კირკის (მარჯანიშვილის) ქუჩის და კერძოდ ამ უბნის ინტენსიური მშენებლობა იწყება მიხეილის (ახლანდელი ჩუღურეთის) ხიდის მშენებლობის შემდეგ (1853 წ.), რომელმაც მტკვრის მარცხენა ნაპირი (ჩუღურეთი და კუკია) უშუალოდ დაუკავშირა ქალაქის ახალ ცენტრს. განსაკუთრებული მნიშვნელობა კირკის (მარჯანიშვილის) ქუჩამ მიიღო საქართველოში პირველი ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნის (1872 წ.) და ვერის (ახლანდელი გალაკტიონის) ხიდის აშენების შემდეგ (1885 წ.), როდესაც შეიქმნა ახალი მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარების თვალსაზრისით განივი კავშირი - კირკის (მარჯანიშვილის) ქუჩა, ვერის (გალაკტიონის) ხიდი და ვერის (მიხეილ ჯავახიშვილის) დაღმართი, რომელმაც დააკავშირა ერთმანეთს ქალაქის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ორი ძირითადი გეგმარებითი ღერძი – გოლოვინის (რუსთაველის) და მიხეილის (დავით აღმაშენებლის) პროსპექტები.

კუკიის უბანში მრავალი არქიტექტურული ძეგლია, კერძოდ, მხოლოდ მარჯანიშვილის ქუჩაზე ეს არის საცხოვრებელი სახლები ## 6, 11, 13, 15, 17, 18, 21, 27, 32, 33, 35, 39, 40, 45, რომლებსაც გარკვეული ადგილი უკავია ქალაქის ურბანულ მემკვიდრეობაში და მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უმრავი ძეგლის სტატუსი. აგრეთვე, 1864 წელს „კიროჩნაისა“ და ნიკოლოზის (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის ქუჩა) ქუჩის გადაკვეთაზე აშენდა წმინდა ალექსანდრე ნეველის რუსული ეკლესია. 1909 წელს სანაპირო ქუჩის (ახლანდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩა) გადაკვეთაზე აშენდა კ.ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლი (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი, არქიტ. ს.კრიჩინსკი), მის მოპირდაპირედ – „ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლი“ (ახლანდელი „თიბისი–ბანკის“ შენობა, არქიტექტორი ა.როგოისკი). ორივე შენობა „მოდერნის“ სტილისაა. 1939 წელს ქუჩის დასაწყისში აშენდა წიგნის სასახლე (არქიტექტორები: ნ.ბარათაშვილი, ნ.მიქაელიანი). ამ შენობებსაც მინიჭებულია აქვთ არქიტექტურული ძეგლის სტატუსი.

1947–49 წლებში მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის დროს ლუთერანული ეკლესია („კირხე“) დაანგრიეს და ქუჩაც გააგანივრეს. ამის შედეგად მარჯანაშვილის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტის გადაკვეთაზე შეიქმნა გეგმით მართკუთხა მოედანი, რომელსაც კ.ა.მარჯანიშვილის სახელი ეწოდა. ახალ მოედანს ქმნიან ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი განლაგებული სიმეტრიულად მოედნის გრძივი ღერძის მიმართ. ერთმანეთის პირისპირ მოთავსებული ეს ორი საცხოვრებელი სახლი თითქმის ერთმანეთის სარკისებურ გამოსახულებას წარმოადგენს. პირველი სახლის (# 83–85) მშენებლობა დამთავრდა 1947 წელს. ჩვენთვის იგი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ვინაიდან იმ კვარტალის ფარგლებშია, სადაც მდებარეობს ჩვენი საკვლევი ტერიტორია (სურ, 5). რაც შეეხება მეორე საცხოვრებელი სახლს მისი შენებლობა კი 1949 წელს დასრულდა. 1956 წელს მოედნის ჩრდილოეთ–აღმოსავლეთის კუთხეში აშენდა – საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ შენობა (სამივე შენობის არქიტექტორია მ.მელია), რომლის პირველ სართულზე 1966 წელს გაიხსნა მეტროს I ხაზის სადგური „მარჯანიშვილის მოედანი“. 2011–12-იან წლებში მარჯანიშვილის ქუჩის იმ მონაკვეთში, რომელიც მდებარეობს მარჯანიშვილის მოედნისა და გალაკტიონის ხიდს შორის, ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

XX საუკუნის დასაწყისში კირკის (მარჯანიშვილის) ქუჩა, მიხეილის (დავით აღმაშენებლის) პროსპექტი და ზოგადად ქალაქის ეს უბანი, რომელმაც იმ დროისათვის საზოგადოებრივი ცენტრის ხასიათი მიიღო, განლაგებული იყო: გერმანელთა ეკლესია-კირხე, ე.წ. სახალხო თეატრი, ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობა, ქალაქის ე.წ. მიხეილის საავადმყოფო, ობსერვატორია, იუნკერთა სასწავლებელი, ტურისტების თავშესაფარი, ქალაქში პირველი სტომატოლოგიური სკოლა, სასტუმროები, კინოთეატრები, რესტორნები, მაღაზიები და სახელოსნოები, აფთიაქები, საცხოვრებელი სახლები, სპორტული დაწესებულებანი, მათ შორის ჩოგბურთის უძველესი მოედანი და ველოტრეკი, აგრეთვე საზაფხულო ბაღები და კლუბები, რაც ამ უბნის სპეციფიკას შეადგენდა.

მაშინდელ ნაგებობათაგან ბევრი დღესაც შემორჩენილია, მათ შორის: კ.ზუბალაშვილის სახ. სახალხო თეატრი (მარჯანიშვილის თეატრი), „ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლი“ (ახლანდელი „თიბისი–ბანკის“ შენობა), მიხეილის საქალაქო საავადმყოფო (ყოფ. თბილისის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო), თბილისის ფოსტამტის შენობა, ყოფ. ვეტცელის სასტუმრო (დავით აღმაშენებლის, № 103), კინოთეატრები "აპოლო", "ამირანი" (ამჟამად რეკონსტრუქციის შემდეგ ჯ.კახიძის სახ. თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი), ჰიდრომეტეოროლგიური სამსახურის შენობა (ყოფ. ფიზიკური ობსერვატორია), რესპუბლიკური სტომატოლგიური პოლიკლინიკა (ყოფ. სტომატოლოგიური სკოლა) და სხვ., აგრეთვე მრავალი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საცხოვრებელი სახლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც მარჯანიშნილის ქუჩაზე, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დღემდე შემორჩენილია თბილისის ურბანული მემკვიდრეობის მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული შენობა-ნაგებობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ თბილისის არქიტექტურული განვითარების პროცესს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის საგანს წარმოადგენს მარჯანიშვილის ქუჩა, #29 მდებარე „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის“ კომპლექსი, რომელიც ძირითადად აშენდა 1960–იანი წლების ბოლოს (სურ. 6). საკვლევი კომპლექსი შედგება რამდენიმე სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების შენობა–

ნაგებობისაგან (სურ. 7,8,9,10), რომლებსაც უკავიათ საკმაოდ დიდი ზომის მიწის ნაკვეთი, სადაც აგრეთვე არის განლაგებული ჩოგბურთის ორი ღია მოედანი (სურ. 11). აღნიშნული ნაგებობები ამჟამად არ წარმოადგენს ისტორიულ–არქიტექტურულ ღირებულებას და ამიტომ, აქედან გამომდინარე, მათ არა აქვთ მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. თვით საპროექტო ტერიტორია, ვგულისხმობთ კომპლექსის ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც გთვალისწინებულია ახალი შენობის აგება, მდებარეობს ჩოგფურთის აკადემიის კომპლექსის ჩრდილო–დასავლეთის კუთხეში, რომლის ტერიტორიაზე მოთავსებული შენობები, გასაგებია, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, არ წარმოადგენს რაიმე ისტორიულ–არქიტექტურულ ღირებულებას (სურ. 7,12).

„ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია“ მდებარეობს ახლანდელი მარჯანიშვილის (ყოფ. კირკის) ქუჩის მჭიდროდ განაშენიანებულ შუა მონაკვეთში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ კვარტალში, რომელიც განლაგებულია ახლანდელი მარჯანიშვილისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტის გადაკვეთაზე (კუთხეში). მიუხედავად ამისა ჩოგბურთის აკადემია უშუალოდ არ გამოდის ქუჩისა და არც პროსპექტის წითელ ხაზზე, ვინაიდან მდებარეობს კვარტალის სიღრმეში და უკავშირდება მარჯანიშვილის ქუჩას მხოლოდ შიდა კვარტალური გზის ან უფრო სწორედ მისასვლელის საშუალებით (სურ. 13). ქუჩის ამ მონაკვეთის განაშენიანება პერიმეტრულია. ახლანდელი მარჯანიშვილის ქუჩისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული განაშენიანება ქალაქის განვითარება–ჩამოყალიბების რამდენიმე სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება, რომელიც მოიცავს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს, დაწყებული XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XX საუკუნის 50–იანი წლებით. მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ცალკეული ახალი შენობები მომდევნო და ბოლო წლების მანძილზეც გაჩნდა.

საკვლევი კომპლექსის მეზობლად – მის გვერდით, სამხრეთის მხრიდან, მას ესაზღვრება ახლანდელი ვარდების ბაღი (დავით აღმაშენელების პროსპექტი, სურ. 14), რომელიც ვარაუდობთ გაშენებულია ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში. საკვლევი კომპლექსის მოპირდაპირედ, ჩრდილოეთის მხრიდან, შიდა კვარტალური გზის გადაღმა, მდებარეობს რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რომელთაგანაც ერთ მათთგანს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ნივთის სტატუსი (მარჯანიშვილის ქუჩა, 27, სურ. 15), დასავლეთის მხრიდან კი საპროექტო

ტერიტორიას ესაზღვრება ორსართულიანი ყოფ. სამხედრო უწყების შენობა და უკვე აღნიშნული არქიტექტორ მ.მელიას დიდი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (დავით აღმაშენელის პროსპექტი, 83–85 სურ. 5), რომელსაც აგრეთვე აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ნივთის სტატუსი, ხოლო, აღმოსავლეთის მხრიდან, საპროექტო ტერიტორიას – ეკვრის მ.წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების (## 86,88,90) ეზოს ფლიგელები და ეზოები (სურ. 16).

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, საპროექტო ტერიტორია თბილისის ისტორიულ ნაწილს მიეკუთვნება და წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის – კუკიის შემადგენელ ნაწილს (სურ. 2,3). იგი მდებარეობს კ.მარჯანიშვილის ქუჩის და დავით აღმაშენებლის პროსპექტის გადაკვეთაზე მდებარე კვარტალის სიღრმეში. აღსანიშნავია, რომ ამ უბნის განაშენიანება დღესაც მონაწილეობს თბილისის ცენტრის არქიტექტურულ–მხატვრული სახის ფორმირებაში.

მარჯანიშვილის ქუჩის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული განაშენიანება ხასიათდება განსხვავებული სტილის, მიმდინარეობისა და ამავე დროს განსხვავებული სართულიანობის და მოცულობის შენობა–ნაგებობებით, რომლებიც ქალაქის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება. ეს პროცესი მოიცავს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს, დაწყებული XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XX საუკუნის 50–იანი წლებით. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ახალი მშენებლობა მომდევნო წლების მანძილზეც გრძელდებოდა. ამ თვალთაზრისით არსებული გარემოება, რა თქმა უნდა, მარჯანიშვილის ქუჩისათვისაც არის დამახასიათებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ მთლიანობაში, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამ უბნის ზოგად საქალაქო მნიშვნელობას შენარჩუნებული უნდა იყოს ამ უბნის დაგეგმარების სტრუქტურა, არქიტექტურულ–სივრცობრივი გარემო, ურბანული ტერიტორიის ისტორიული ხასიათი და ყველა ის ელემენტი, რომელიც ამ ხასიათს გამოხატავს, კერძოდ ამ უბნის, ქუჩების და განაშენიანების თავისებურებანი, მხატვრული გამომსახველობა.

ახალი მოცულობის გაჩენის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფასეულობათა დაცვას რაც ახასიათებს ამ უბანს. ახალი შენობების მხატვრული

გადაწყვეტა შეხამებული უნდა იყოს არსებულ შენობებთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალმა მშენებლობამ ამ უბანს არ უცვალოს სახე და მან არ დაკარგოს თავისი დამახასიათებელი იერი, ასევე არ დაიკარგოს ის მხატვრული ღირებულებაც, რომელიც მველ განაშენიანებას განუმეორებელ ხიბლს სძენდა.

დასკვნა და რეკომენდაციები

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის საგანს წარმოადგენს „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის“ კომპლექსი, რომელიც განლაგებულია ახლანდელი მარჯანიშვილის ქუჩის და დავით აღმაშენებლის პროსპექტის გადაკვეთაზე მდებარე კვარტალის სიღრმეში (ძველი კუკია, მარჯანიშვილის ქუჩა, #29). ამასთან დაკავშირებით საპროექტო ტერიტორია უშუალოდ არ გადის მარჯანიშვილის ქუჩის და ასევე დავით აღმაშენებლის პროსპექტის წითელ ხაზზე და უკავშირდება მარჯანიშვილის ქუჩას მხოლოდ შიდა კვარტალური გზის ან უფრო სწორედ მისასვლელის საშუალებით.

„ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის“ კომპლექსი შედგება მის ტერიტორიაზე განთავსებული რამდენიმე, ძირითადად 1960–იან წლების ბოლოს აშენებული, შენობა–ნაგებობებისაგან. აღნიშნული ნაგებობები ამჟამად არ წარმოადგენს ისტორიულ–არქიტექტურულ ღირებულებას და აქედან გამომდინარე მათ არა აქვთ მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

თვით მარჯანიშვილის ქუჩის და მის ირგვლივ არსებული განაშენიანება ქალაქის განვითარება–ჩამოყალიბების რამდენიმე სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება, რომელიც მოიცავს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს, დაწყებული XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XX საუკუნის 50–იანი წლებით. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ცალკეული ახალი შენობების აგება მომდევნო წლების მანძილზეც გაგრძელდა. ამის შედეგად მარჯანიშვილის ქუჩისა და მის მიმდებარე განაშენიანებაში გვხვდება სხვადასხვა სტილისა და მიმდინარეობის შენობები. ამავე დროს არსებული შენობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მოცულობით ასევე სართულიანობით.

ტერიტორია, რომელიც უკავია „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიას“ თბილისის ისტორიული დაცვის ზონას მიეკუთვნება, რაც გასათვალისწინებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გარკვეული სამშენებლო სამუშაობების ჩატარება, მათ შორის დასაშვებია ახალი მოცულობის გაჩენა, კერძოდ ჩოგბურთის აკადემიის ტერიტორიის ჩრდილო–დასავლეთის კუთხეში გათვალისწინებული ახალი საზოგადოებრივი – საცხოვრებელი დანიშნულების შენობის აგება.

არქიტექტორი,ხელოვნებათმცოდნე თ.გერსამია

ბიბლიოგრაფია

1.ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, თბილისი, ტომი I, 1960; ტომი II, 1963;

2. გერსამია თ. ძველი თბილისი, თბილისი, 1984;

3."თბილისი" (ენციკლოპედია), ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2002;

4. თბილისი. „ქუჩები, გამზირები, მოედნები", ენციკლოპედია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2008;

5.ჯანბერიძე ნ. ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1971;

6.ჯაში ნ. სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1983;

7.Тенгиз Квирквелия. Архитектура Тбилиси, Тбилиси, 1982;

8.Т.Г.Квирквелия. Архитектура Тбилиси, Москва, 1985.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16